ახალი განათლება

2010 წელი, 18 - 24 თებერვალი

ფასი 90 თეთრი

№5 (479) გამოდის 1998 წლიდან

დევნილ პედაგოგთა დასაქმება – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინიციატივა

15 თებერვალს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად უმუშევრად დარჩენილ პედაგოგებს შეხვდა. 3 თებერვალს ისინი სამინისტროს წინ სწორედ ამ მიზნით შეიკრიბნენ, უხელფასოდ დარჩენილ პედაგოგებს „ხმის მიწვდენა სურდათ ხელისუფლებამდე“, შეხვედრას ითხოვდნენ მინისტრთან, რათა ესაუბრათ პრობლემაზე, რომელმაც ისინი ულუკმაპუროდ დატოვა – მათ ერთი წლის განმავლობაში შენარჩუნებული ხელფასები გაუუქმდათ. დიმიტრი შაშკინმა უმუშევრად დარჩენილი პედაგოგები შესახვედრად სამინისტროში მიიწვია და ის ინიციატივა გააცნო, რომელიც მათ დასაქმებას მოკლე დროში უზრუნველყოფს.

დიმიტრი შაშკინი: *„რუსული აგრესიის შედეგად, დაახლოებით, 800-მა პედაგოგმა დაკარგა სამუშაო ადგილი, აქედან 500-მდე პადაგოგი უკვე დავასაქმეთ, 300 – ჯერჯერობით უმუშევარია. დამსაქმებელთა გაერთიანებასთან ერთად, ერთი თვის განმავლობაში, ჩვენ ამ პედაგოგებსაც დავასაქმებთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. არც ერთ პედაგოგს, რომელმაც სამსახური დაკარგა, დასაქმების კავშირთან ერთად, უმუშევარს არ დავტოვებთ.*

ბუნებრივია, გვესმის, რომ სკოლებისთვის რთული იქნება დამატებითი მასწავლებლების მიღება, სწორედ ამისთვის გაერთიანდა ჩვენი რესურსები – მოხდება კონკრეტული სახელით და გვარით გადანაწილება იმ სკოლებში, სადაც თქვენ გააგრძელებთ მუშაობას“.

დევნილი პედაგოგების უმრავლესობა ამ ინიციატივას დიდი იმედითა და მადლიერებით შეხვდა, თუმცა, მათთვის მაინც უმთავრესია ხელფასის იმ ოდენობის შენარჩუნება, რაც დევნილობამდე ჰქონდათ.

მაია კახნიაშვილი, კეხვის საჯარო სკოლის დირექტორი: *„მინისტრი დაგვპირდა, რომ აუცილებლად დაგვასაქმებს უახლოეს ერთ თვეში. ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მას და მოთმინებით დაველოდო დასაქმების დღეს. ასევე გამოგვიცხადეს, რომ ჩვენთვის გამოყოფილია სასერტიფიკაციო ვაუჩერი, რომლის გამოყენებასაც აუცილებლად ვაპირებ.“*

ქეთევან ნებიერიძე, აჩაბეთის საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი: *„ვიცოდით, რომ დღევანდელ შეხვედრაზე დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით იქნებოდა საუბარი, მაგრამ ასეთ განცხადებას მე პირადად არ ველოდებოდი. რასაკვირველია, დიდი მადლობა მინისტრს ამ ინიციატივისათვის. ველოდებით დასაქმებას, რაც უმეტესი პედაგოგებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“.*

თუმცა, იყვნენ სკეპტიკურად განწყობილი პედაგოგებიც, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სჯობს იმ ერთ თვეს დაველოდოთ, დავინახოთ ვინმე დასაქმებული და კმაყოფილებისა თუ უკმაყოფილების შესახებ მერე გესაუბრებითო.

ცირა ლაგურაშვილი, ხაზვისა და სახვითი ხელოვნების პედაგოგი, ფრონის ხეობა: *„შეიძლებოდა უკეთესი პირობებიც შემოეთავაზებინათ ჩვენთვის. თუნდაც დასაქმებამდე შეგვნარჩუნებოდა ხელფასები, ან თუნდაც 2014 წლმდე, ისე, როგორც დანარჩენ დევნილებს — ექიმებს, ბიბლიოთეკარებს, გამგეობების თანამშრომლებს და სხვ. ჩვენ რა ნიშნით გამოგვარჩიეს. ამ პერიოდს კი სერტიფიცირებისათვის მოსამზადებლად გამოვიყენებდით, დავმკვიდრდებოდით ახალ გარემოში. ორი წელია, მოწყვეტილები ვართ წიგნებსა და სახელმძღვანელოებს, იმის გამო, რომ არ გვაქვს. ჩვენ რეაბილიტაცია გვჭირდება, თუნდაც იმისთვის, რომ ვაუჩერი გამოვიყენოთ. დღეს, კონკრეტულად როგორ დასაქმებას გვთავაზობენ, მართალი გითხრათ, არ ვიცი.“*

ელისო ბასიშვილი, თამარაშენის სკოლის დირექტორი: *„ჩვენ მხოლოდ სკოლის ბეჭდები შეგვრჩა, რომელიც დღესაც საჭიროა, რადგან დირექტორის ფუნქციას ისევ ვასრულებთ (გარდა ფინანსური ოპერაციებისა), მხოლოდ, ბუნებრივია ანაზღაურების გარეშე. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კოდის საჯარო სკოლას, სადაც გასულ წელს 5 საათი მომცეს და, ასე ვთქვათ, დავსაქმდი, მაგრამ ბუნებრივია, ამ რაოდენობის საათს ანაზღაურებაც ასეთივე მიზერული ექნება. წელს კი ცოტა კიდევ დამიმატეს და 10 საათი მაქვს. იმედით შევყურებთ ამ ინიციატივასაც, ვნახოთ რა იქნება.“*

დავით ლაგვილავა, 51-ე საჯარო სკოლის დირექტორი, საქართველოს განათლების სისტემის დამსაქმებელთა გაერთიანების ხელმძღვანელი: *„განათლების სისტემის დამსაქმებელთა გაერთიანების წევრებმა, ანუ სკოლის დირექტორებმა, გამოვხატეთ სურვილი, რომ გარკვეული წვლილი შეგვეტანა დევნილი პედაგოგების დასაქმების პროცესში. მივმართეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მოხარულები ვართ, რომ სრული მხარდაჭერა მივიღეთ. ალბათ, ძნელად საპოვნელი იქნება სკოლა, სადაც ვაკანტური ადგილი იქნება, ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ მრავალრიცხოვან კლასებში, თუნდაც იმ საგნებში, რომლებშიც კლასი არ იყოფა – ქართულში, მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში შემოვიტანოთ ზეგეგმიური საათები, ანუ კლასი გაიყოს და კლასგანაყოფებში შევიყვანოთ დევნილი პედაგოგები. ამით არც ძირითადი პედაგოგები დაზარალდებიან და მით უფრო არც ახალი პედაგოგები. თანაც, ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. დევნილ პედაგოგთა ხელფასები სკოლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ძირითადად, კომუნალური ხარჯებიდან, რომელსაც შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აანაზღაურებს, ანუ პედაგოგთა დაფინანსებას უზრუნველყოფს როგორც სკოლა, ისე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ხაზს ვუსვამ – საჭიროებისამებრ, რადგანაც დოტაციაზე მყოფ სკოლებს ამის საჭიროება ნაკლებად ექნებათ. ჩემი სკოლის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ სამინისტროსგან დამატებითი ხარჯების გამოყოფა არ დამჭირდება.“*

შეხვედრის ბოლოს პედაგოგებმა რეგისტრაცია გაიარეს საცხოვრებელი ადგილის მისათითებლად, რათა შემდგომ მათთვის ახლომდებარე სკოლები შეირჩეს დასასაქმებლად.

* * *

3 თებერვლის აქციის შემდგომ, ბუნებრივია, დავინტერესდით ამ პედაგოგთა ბედით. სამაჩაბლოელი პედაგოგების ბედი გაირკვა, მათ უშუალოდ მინისტრისაგან შეიტყვეს, რომ დასაქმდებიან, მაგრამ ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია აფხაზეთის – კოდორის ხეობის დევნილ პედაგოგთა ბედი. 15 თებერვლის შეხვედრამდე, კომენტარი ვთხოვეთ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრს, დალი ხომერიკს. რადგან პრობლემა ისევ აქტუალურია და 70-მდე კოდორელი პედაგოგი ელის ხელისუფლებისაგან პასუხს, გთავაზობთ ამ კომენტარს.

გვერდი 6

აბიტურიენტებო, თვალი ადევნეთ ჩვენს რუბრიკას და გააკეთეთ სწორი არჩევანი!

„აირჩიეთ, სად ისწავლით“

- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი
- დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „გორგასალი“
- სსიპ – შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
- სსიპ – უსდ – ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲗ. ᲡᲐᲓ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ,
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ:

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ, ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ.

აკრედიტებული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს ზუსტი და საბუნებისმეტყველო, სოფლის მეურნეობის, ჰუმანიტარულ, პედაგოგიურ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის, სამართლის და მედიცინის დარგში.

ᲡᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ

უნივერსიტეტში სწავლება სამსაფეხურიანია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. მუშაობს უმაღლესი პროფესიული და სამედიცინო-სარეზიდენტო პროგრამები. ყველა ფაკულტეტზე შექმნილია სადისერტაციო საბჭოები.

უნივერსიტეტის 2000-ზე მეტ სტუდენტს ემსახურება 17 სამეცნიერო კათედრა და ასზე მეტი პროფესორი.

სტუდენტების სამსახურშია თანამედროვე ბიბლიოთეკა მრავალათასიანი წიგნადი ფონდით, ელექტრონული ბიბლიოთეკით, სააბონენტო, სამკითხველო, სააქტო და საპრეზენტაციო დარბაზებით, საინფორმაციო-კომპიუტერული ცენტრით.

ინტერნეტით სარგებლობა უფასო და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის.

ᲐᲨᲨ-Ს ᲔᲚᲩᲘᲡ ᲯᲝᲜ ᲑᲐᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲠᲝᲑᲐ ᲗᲔᲡᲐᲣ-ᲨᲘ

ფაკულტეტის დასახელება (აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები) სპეციალობის მითითებით	სწავლების ენა	კრედიტების რაოდენობა	წლიური გადასახადი	ჩასარიცხი კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტერატურა	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	მეცნიერება	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტური	პროფილები
					1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ისტორია; საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია; ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა და ლიტერატურა; გერმანული ენა და ლიტერატურა; ფრანგული ენა და ლიტერატურა)	ქართული	240	2000	180	4	2	3		3		3					1-3-5/7-2
									90		90					
სოციალურ მეცნიერებათა , ბიზნესისა და სამართლის (საბუღალტრო და საგადასახადო საქმე; მენეჯმენტი და ადმინისტრირება; ჟურნალისტიკა; სამართალმცოდნეობა)	ქართული	240	2250	150	3	4	3	2	2		2					2-1-3-4/5/7
								80	40		30					
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (მათემატიკა; ფიზიკა; ინფორმაციული ტექნოლოგიები; ბიოლოგია, ეკოლოგია; გარემოსმცოდნეობა)	ქართული	240	2000	113	3	4	3	2		2		2	2	2		2-1-3-4/6/8/9/10
								50		22		10	10	21		
სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგების (სასურსათო ტექნოლოგია; აგროტექნოლოგია; აგროეკოლოგია; სატყეო მეურნეობა)	ქართული	240	2000	70	3	3	3	3					3	3		2-1-3-4-9/10
								30					20	20		
პედაგოგიური (დაწყებითი განათლება; ფიზიკური აღზრდა)	ქართული	240	1750	50	3	4	3	2	2		2					2-1-3-4/5/7
								10	15		25					

ფაკულტეტის დასახელება (პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები) სპეციალობის მითითებით	სწავლების ენა	კრედიტების რაოდენობა	წლიური გადასახადი	ჩასარიცხი კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტერატურა	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	მეცნიერება	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტური	პროფილები
					1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (წარმოების ავტომატიზაცია და მართვა)	ქართული	180	1500	8		12										2
სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგების (მევენახეობა–მეღვინეობა)	ქართული	180	1500	10		12										2
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების რეინჯერი)	ქართული	180	1500	8		12										2
პედაგოგიური (ტანსაცმლის დიზაინი)	ქართული	180	1500	8		12										2
ჯანდაცვის (ზოგადი პროფილის ექთანი)	ქართული	180	1500	15		12										2
ჯანდაცვის (კბილის ტექნიკოსი)	ქართული	120	1500	10		12										2
ჯანდაცვის (ფარმაცევტის თანაშემწე)	ქართული	120	1500	15		12										2

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	წლიური გადასახადი	ჩასარიცხი კონტინგენტი	ზოგადი უნარები	შემოქმედებითი ტური
			1	2
აზერბაიჯანულენოვანი	2250	28	12	
სომხურენოვანი	2250	28	12	

უნივერსიტეტს მრავალი პარტნიორი ჰყავს მსოფლიოს ოთხ კონტინენტზე. ამჟამად უნივერსიტეტში 30-ზე მეტი საერთაშორისო პროექტი ხორციელდება, მასში ბევრი სტუდენტი თუ პროფესორია ჩართული, რომლებიც კვალიფიკაციას იმაღლებენ საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, საბერძნეთში, ნიდერლანდებში, ბულგარეთში, ლატვიაში, აშშ-სა და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში.

ᲤᲠᲐᲜᲙᲝᲤᲝᲜᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

უნივერსიტეტს აქვს მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ოთხი სასწავლო კორპუსი, საერთო საცხოვრებელი, ღია და დახურული სპორტული მოედნები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი. სასწავლო ბაზები სამედიცინო ცენტრების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საინფორმაციო საშუალებების, ღვინის წარმოებებისა და სხვათა სახით.

უცხო ენების შესწავლა უფასოა. ამ საქმეს ემსახურება უნივერსიტეტის უცხო ენათა ცენტრი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეგობრობის უცხო ენათა ცენტრი, ბიბერახის ოთახი, ფრანკოფონიის ცენტრი.

წარჩინებული სტუდენტები ღებულობენ სხვადასხვა სახის სტიპენდიებს, ფულად ჯილდოებს, ერთი სემესტრით ან ერთი წლით უფასოდ მიდიან უცხოეთის თუ ამიერკავკასიის წამყვან უნივერსიტეტებში სასწავლებლად, შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ ორმაგი აღიარების დიპლომები.

უნივერსიტეტში ფართოდ არის გაშლილი სტუდენტთა სპორტული, კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა. მათ სამსახურშია სტუდენტური კლუბები, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები.

ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. 1. ტელ.: 8 250 72401; 8 250 75982
info@tesau.edu.ge , www.tesau.edu.ge

აირჩიეთ, სად ისწავლით

ხელოვნების ნიჭი, სურვილი და ჩარიცხვის მაქსიმალური გარანტია

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი

2010-2011 სასწავლო წლისათვის აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

ბაკალავრიატი

სწავლის ღირებულება – 1500 ლარი

- ტანსაცმლის დიზაინი;
- ინტერიერის დიზაინი;
- ფერწერა;
- დრამისა და კინოს სამსახიობო;
- ტელერეჟისურა;
- საკრავიერი (ფორტეპიანო, ჩასაბერი, სიმებიანი);
- ვოკალი;
- დირიჟორობა;
- კომპოზიცია (მუსიკის თეორია);
- ხელოვნებათმცოდნეობა.

ბაკალავრიატის საშემსრულებლო სპეციალობებზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის
სავალდებულოა შემოქმედებითი ტურის გავლა.

შემოქმედებითი ტურები ჩატარდება ივნისის თვეში:

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ უნივერსიტეტს, შემდეგ მისამართზე:
ბათუმი, ფიროსმანის ქ. № 16. ტ.: 4 43 68; 4 41 79; 4 43 96; 893 32 57 96

პროფესიული პროგრამები

სწავლის ღირებულება – 1000 ლარი

- მონტაჟის რეჟისორი;
- ტანსაცმლის დიზაინი;

სწავლების ვადა – თითოეულ სპეციალობაზე 2,5 წელი

პროფესიულ პროგრამებზე აბიტურიენტები ჩაირიცხებიან მხოლოდ ზოგად უნარ-ჩვევებში მიღებული შედეგების მიხედვით.

რომელიმე სპეციალობის არჩევის შემთხვევაში განაცხადში უნდა მიუთითოთ:
130 * სსიპ * ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, შემდეგ – თქვენთვის სასურველი ფაკულტეტი.

ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილე აბიტურიენტებს!

თბილისის დამოუკიდებელი აკრედიტებული უნივერსიტეტი „გორგასალი“ აცხადებს მიღებას:

ჯანმრთელობის დაცვის ფაკულტეტზე:

- **სტომატოლოგია.** ხარისხი – დიპლომირებული
- **სტომატოლოგი.** (300 კრედიტი) სწავლების ხანგრძლივობა – 5წელი.
- **ფარმაცია.** სწავლების ხანგრძლივობა – 4წელი.

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტზე:

- ეკონომიკა
- ტურიზმი
- ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
- სამართალმცოდნეობა

ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე:

- **უცხო ენა** (ინგლისური)

სასწავლო პროცესს წარმართავენ
საყოველთაოდ აღიარებული პროფესორები

უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ძირითად სპეციალობასთან ერთად (major) მეორე სპეციალობის მიღებას (minor), აგრეთვე სტუდენტურ გაცვლით პროგრამებს საზღვარგარეთის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში. წარჩინებული სტუდენტები იღებენ სტიპენდიას.

სწავლების წლიური საფასური - 2250 ლარი.

სასწავლებლის მისამართია:
ქ. თბილისი (ვაკე-საბურთალოს გზაზე) გ. სვანიძის ქ. №2
ტელ: 23 52 86; 10 58 75; 899 95 34 81

გააკეთეთ სწორი არჩევანი, ისწავლეთ ჩვენთან
გისურვებთ წარმატებებს

W E B: www.gorgasali.edu.ge

ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲗ, ᲡᲐᲓ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ ᲡᲡᲘᲠ ᲨᲝᲗᲐ ᲛᲔᲡᲮᲘᲐᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 13 ივლისის № 145 დადგენილებით, სამეგრელოს რეგიონში დაფუძნდა სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც გახდა სამი სრულიად განსხვავებული მისიის მქონე სასწავლებლის: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის, ზუგდიდის პროფესიული ლიცეუმისა და სენაკის აგრარულ-ეკონომიკური კოლეჯის უფლებამონაცვლე. ეს იყო საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში სიახლე, როცა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო ერთდროულად აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ლიცენზია. რექტორატმა აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად პრიორიტეტად დაისახა, განეხორციელებინა პრეზიდენტის პროგრამა „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 15 მაისის № 122 დადგენილებით, სასწავლებელს ეწოდა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი, ხოლო 2009 წლის 09 ოქტომბრის № 182 დადგენილებით, ინსტიტუტის სახედ განისაზღვრა სასწავლო უნივერსიტეტი და ეწოდა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

დღეს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ უახლეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც საგანმანათლებლო რეფორმის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, კარგად აქვს გააზრებული საკუთარი მისია - წარმოადგენდეს რეგიონში ძლიერ საგანმანათლებლო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ფასეულობების მატარებელი პროფესიონალის აღზრდას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრობა მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე აყენებს სასწავლებელს, რაც გულისხმობს: განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების, კურიკულუმების დანერგვას, სწავლებისა და სწავლის, კვლევის მაღალ ხარისხს, ევროპასა და მთელ მსოფლიოში აღიარებული დიპლომების გაცემას, უნივერსიტეტის ავტონომიურობას, უმაღლესი სასწავლებლის მართვაში სტუდენტების მონაწილეობას, დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს.

სასწავლო უნივერსიტეტის მმართველი რგოლების (რექტორატი, წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოები, ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების კოორდინირებული მუშაობით პროგრამების განსახორციელებლად გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია – 2009 წლის „საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების“ პროგრამის ფარგლებში კეთილმოეწყო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, „პროფესიული განათლება-დასაქმებისათვის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამები. აკადემიური პერსონალის, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მოტივაციისა და პასუხისმგებლობის გაზრდას ხელი შეუწყო სწავლებისა და კვლევისთვის აუცილებელი პირობების შექმნამ.

რეგიონის უწყვეტი განვითარების მხარდამჭერ საგანმანათლებლო პროგრამებს, პროფესიული განვითარების პროექტებთან ერთად, სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტების, მეცნიერებისა და ექსპერტების აქტიური მონაწილეობით.

სასწავლო უნივერსიტეტში დღეს **საბაკალავრო** (ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, სამართალმცოდნეობა, ფარმაცია), **პროფესიული უმაღლესი** (ფარმაცია, საბანკო საქმე, საბუღალტრო საქმე, , აგრარული მენეჯმენტი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი) და **სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები** (ვებმედიატექნოლოგია, ელმონტიორი, ელექტროაირშემდუღებელი, დურგალი ფერმერი) ხორციელდება ზუგდიდსა და სენაკში საზოგადოებრივ მეცნიერებათა და აგრარულ ფაკულტეტებზე.

2009 წელი მნიშვნელოვანი გარდაქმნების წელი იყო. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, 2010 წელს განსახორციელებლად მოამზადა და დადებითი დასკვნა მიიღო სამაგისტრო პროგრამებზე. 2010 წელს სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ, აგრარულ, ჯანდაცვის, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტებზე განახორციელებს სამ სამაგისტრო, ხუთ საბაკალავრო, ხუთ პროფესიულ უმაღლეს, ათ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას.

ზემოაღნიშნულ პროგრამებზე სწავლის განსაკუთრებული ხიბლი არის ის, რომ სასწავლო უნივერსიტეტში სხვადასხვა საფეხურისა და ტიპის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებამ გაზარდა უწყვეტი განათლების მიღების მოტივაცია. კერძოდ, სახელობო პროგრამების კურსდამთავრებულები უკვე მოტივირებული ხდებიან, სწავლა გააგრძელონ მორიგ საფეხურებზე (ეროვნული გამოცდების გამარტივებული წესით ჩაბარების შედეგად) და პირიქით, საბაკალავრო პროგრამების არაერთმა კურსდამთავრებულმა გაიარა სახელობო პროგრამები.

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ზემოთ დასახელებულ პროგრამებს 2010-2011 სასწავლო წლისათვის ემატება: **სამაგისტრო პროგრამები** (ქართული ლიტერატურა, ისტორია, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა), **პროფესიული უმაღლესი პროგრამები** (ვეტერინარის თანაშემწე) და **სახელობო პროგრამები** (მედდის საქმე, მიმტანი).

სასწავლო უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევებს, წარჩინებული და აქტიური სტუდენტები იღებენ სტიპენდიებს, ხორციელდება სოციალური დახმარების პროგრამა. ინერგება სწავლებისა და სწავლის ახალი მეთოდები, პროფესორ-მასწავლებლები ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე, რასაც ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საკონსულტაციო შეხვედრები, რეკომენდაციები და სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს განათლების დარგში მოღვაწე ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან. სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის ტარდება საჯარო ლექციები, სადაც იხილება უმაღლესი სასწავლებლის უწყვეტი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

მიმდინარე სასწავლო წლის პრიორიტეტად კვლავ რჩება უწყვეტი განვითარებისათვის სასწავლო გარემოს ეფექტიანი მართვა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება.

სასწავლო უნივერსიტეტში იხსნება მასწავლებელთა გადამზადების ცენტრი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დაეხმარება საჯარო სკოლების პედაგოგებს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებაში როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული უნარების მიმართულებით (2-4 – კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამები.) ცენტრი ითანამშრომლებს როგორც მოქმედ, ასევე მასწავლებლობის მსურველ პირებთან, რომლებიც არ არიან დასაქმებულები სკოლებში.

სასწავლო უნივერსიტეტი საინტერესო სიახლეს სთავაზობს ჰუმანიტარული მიმართულებით (ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია) სწავლის გაგრძელების მსურველ აბიტურიენტებს. 240 კრედიტის ფარგლებში, ისინი გაივლიან 60-კრედიტიან პროგრამას პედაგოგიკის მიმართულებით. სტუდენტები დაეუფლებიან პედაგოგიურ მეცნიერებებს, სწავლისა და სწავლების მეთოდების პროფესიულ უნარებს, რაც მომავალში მათი სკოლებში დასაქმების პერსპექტივაა.

ასევე იხსნება უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსებით, სწავლების უახლესი მეთოდების გამოყენებით დაეხმარება ნებისმიერ მსურველს მისთვის სასურველი უცხო ენის შესწავლაში..

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი მზადაა, უპასუხოს საზოგადოების გამოწვევებს.

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 097 (ქ. ზუგდიდი)

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14, ქ. სენაკი მშვიდობის ქ. №194

საკონტაქტო ტელეფონები: 893 944252; ელ.ფოსტა: zssuedu@gmail.com ვებგვერდი: www.zssu.ge

ფაკულტეტების დასახელება სპეციალობების მითითებით		სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური ეკლასადი	კონტრაქტები	ქართ. ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	ჰუმანიტარულ	ისტორია	ბიზნესი	ლიტერატურა	ფილოსოფია	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პრიორიტეტები
						1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
09701	ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ	ქართ.	240	1750	50	4	2	3		3		3							1-5/7-3-2
	ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია									25		25							
09702	ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ	ქართ.	240	2250	200	3	3	3	3	3									4/5-2-3-1
	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; სამართალმცოდნეობა;								120	80									
09703	ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ	ქართ.	240	2250	50	3	3	3						3	3				9/10-2-3-1
	ფარმაცია													30	20				

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 097 (ქ. ზუგდიდი)

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14, ქ. სენაკი მშვიდობის ქ. №194

საკონტაქტო ტელეფონები: 893 944252; ელ.ფოსტა: zssuedu@gmail.com ვებგვერდი: www.zssu.ge

ფაკულტეტების დასახელება	პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური ეკლასადი	კონტრაქტები	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	ჰუმანიტარულ	ისტორია	ბიზნესი	ლიტერატურა	ფილოსოფია	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პრიორიტეტები
						1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
09704	ბიზნესის და სამართალმცოდნეობის	საბაკალო საქმე	ქართ.	140	1500	15	12												2
09705	აგრარული (ქ. სენაკი მშვიდობის ქ. №194)	სოფლის მეურნეობის სპეციალისტი (აგრარული მენეჯმენტი)	ქართ.	135	1500	15	12												2
09706	აგრარული (ქ. სენაკი მშვიდობის ქ. №194)	ვეტერინარის თანაშემწე	ქართ.	140	1500	15	12												2
09707	ჯანდაცვის	ფარმაცევტის თანაშემწე	ქართ.	140	1500	15	12												2
09708	ჯანდაცვის	ზოგადი პროფილის ექთანი	ქართ.	140	1500	15	12												2

ᲡᲡᲘᲠ ᲨᲝᲗᲐ ᲛᲔᲡᲮᲘᲐᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐᲡ Ქ.N14; ᲡᲔᲜᲐᲙᲘ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ Ქ.N194.

ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲝ ᲞᲘᲠᲘ:

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ – ᲑᲔᲚᲐ ᲛᲝᲡᲘᲐ, 893 94 42 52; mosiabella@yahoo.com

ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ – www.zssu.ge

ᲔᲚᲤᲝᲡᲢᲐ – zssuedu@gmail.com

აირჩიეთ, სად ისწავლით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომ – სტუ) არის უძველესი უმაღლესი ტექნიკური პროფილის უნივერსიტეტი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში

ამჟამად სტუ-ში არის შემდეგი ფაკულტეტები:

- სამშენებლო;
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის;
- სამთო-გეოლოგიური;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის;
- ჰუმანიტარულ-სოციალური;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების.

2010 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სტუ-ს **საბაკალავრო პროგრამებზე** ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტები, ისევე როგორც სხვა უმაღლესი სასწავლებლის აბიტურიენტები, ჩააბარებენ 4 გამოცდას – 3 სავალდებულოსა და 1 არჩევითს. არჩევითი საგნები, ფაკულტეტების მოთხოვნით, შემდეგია: **სამშენებლო, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის** – *მათემატიკა*; **ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების** – *მათემატიკა/ფიზიკა*; **სამთო-გეოლოგიური** – *მათემატიკა/ფიზიკა/ქიმია*; **ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის** – *მათემატიკა/ქიმია*; **არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის** – *მათემატიკა/ისტორია/ლიტერატურა და შემოქმედებითი ტური ორ საგანში: ხატვა და არქიტექტურული გრაფიკა*; **ჰუმანიტარულ-სოციალური** – *მათემატიკა ან ისტორია.*

პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველები აბარებენ მხოლოდ ერთ გამოცდას – *ზოგად უნარ-ჩვევებში.*

სტუ-ში, ფაკულტეტების მიხედვით, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრულის ტოლია.

2010 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს სტუ ხვდება შემდეგი სიახლეებით – მისაღები კონტინგენტის თითქმის 2-ჯერ გაზრდა 2009 წელთან შედარებით, ბაკალავრიატში – 2995-დან 5850-მდე და პროფესიულ უმაღლესში – 585-დან 1125-მდე, სწავლის წლიური საფასურის გაზრდის გარეშე.

მისაღები კონტინგენტის გაორმაგება გამოწვეულია საინჟინრო კადრებზე მზარდი მოთხოვნილებით როგორც მსოფლიო შრომის ბაზარზე, ასევე, პირველ რიგში, საქართველოში ისეთი დარგების აღორძინებით, როგორებიცაა: ენერგეტიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ზოგადად მშენებლობა და მათ შორის საგზაო, ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაცია, მეტალურგია, სამთო საქმე, ქიმიური ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები და სხვ.

სტუ-ში სწავლების პირველ საფეხურზე სპეციალისტების მომზადება წარმოებს 8 პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო და 49 აკადემიურ უმაღლეს (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც მოიცავენ როგორც საინჟინრო, ასევე საბუნებისმეტყველო, მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის და სხვა დარგებს.

აღსანიშნავია, რომ ისეთი დარგები, როგორიცაა სამართალმცოდნეობა, ეკონომიკა, ბიზნესი, არა მარტო კონკურენტუნარიანებია, არამედ მოწინავე პოზიციები უკავიათ ქვეყნის შიდა ბაზარზე.

სწავლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სპეციალისტების მომზადება წარმოებს 169 სამაგისტრო პროგრამაზე, რომლებიც ასევე მოიცავენ პრაქტიკულად ყველა დარგს.

სწავლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სპეციალისტების მომზადება წარმოებს 55 სადოქტორო პროგრამაზე.

დღესდღეობით სტუ-ში, სწავლების სამივე საფეხურზე, სწავლობს 13500-მდე სტუდენტი, რომლებსაც ემსახურება 1265 პროფესორი.

სტუ-მ დაამყარა როგორც აკადემიური, აგრეთვე სამეცნიერო კავშირები მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან: გერმანიის (ქ. იენის, ქ. საარბრიუკენის, ქ. კარლსრუეს, ქ. ჰეილბორნის და ა.შ.); დიდი ბრიტანეთის (ქ. ნოტინგემის, ლონდონ სიტის და ა.შ.); აშშ-ს (ვირჯინიის, პენსილვანიის, კალიფორნიის და სხვა მრავალი უნივერსიტეტი), აგრეთვე ამერიკის კოლეჯთა და უნივერსიტეტთა ასოციაციასთან, საერთაშორისო განვითარების სახალხო კოლეჯებთან, მუსკატინის სახალხო კოლეჯთან და ა.შ; ავსტრიის (ქ. გრაცი) და სხვა მრავალი ქვეყნის.

სტუ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული პირველი უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც ტემპუს-ტასისის პროგრამებში, 1996-2001 წწ., აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ამ პროექტების საფუძველზე სტუ-ში პირველად შემოღებულ იქნა სამაგისტრო სწავლების ფორმა, დაინერგა სწავლების საკრედიტო სისტემა. ტემპუს-ტასისის პროექტები მიზნად ისახავს უწყვეტი განათლების სისტემის შექმნას. ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს ფორმატის მიხედვით შემუშავებულ და დანერგილ იქნა დიპლომის დანართის ახალი ფორმა. სტუ-ს კურსდამთავრებულები სწავლას განაგრძობენ მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში. უნივერსიტეტში შემუშავებულ იქნა სასწავლო პროგრამები ევროსაბჭოს „ტიუნინგის“ პროგრამის მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა მოვარგოთ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეს. სტუ-ში სწავლება მიმდინარეობს ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად. სტუ აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის სამეცნიერო პროექტში FP-7. 2009 წლის ნოემბერში, ATLAS-ის პროექტის ფარგლებში, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის შესაბამისად სტუ-ში ჩამოყალიბდა ბირთვული ინჟინერიის ცენტრი.

დღეისათვის ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 14 სამეცნიერო ცენტრი და ინსტიტუტი.

სტუ-ში წარმოებული სამუშაოები, თანამედროვე ეტაპზე, გამოიყენება ისეთი ცნობილი კომპანიების მიერ, როგორებიცაა: Siemens, Crystal Photonics Inc, Komatsu Ltd, Nisan Motor Co, British Petroleum, Durapact GMBH, Boeing-Rotorcraft, INVENSYS, GRENA, Schneider Electric და სხვ.

სტუ-ს მეცნიერები ინტენსიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტებში. ასე, მაგალითად, 2009-2010 წწ. – სტუ-ს მეცნიერების მიერ მოგებული იქნა GNSF-ის 26, GRDF-ის 3, TEMPUS-ის 1, USAID-ის 3 და სხვა საგრანტო პროექტები. ამავე პერიოდში სტუ-ში შესრულებულია 90-მდე სამეცნიერო-ტექნიკური პროექტი, რომელთა ნახევარიც უკვე ინერგება პრაქტიკაში. ასეთი ქმედების შედეგად მატერიალიზებული იქნება უნივერსიტეტის მძლავრი საინჟინრო პოტენციალი, რაც საგრძნობლად აამაღლებს უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო სტატუსს.

სტუ-ში სტუდენტური ცხოვრების წახალისებისა და აქტუალიზაციის მიზნით ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული – სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილება.

სტუდენტების აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართვის მიზნით განყოფილების მიერ, წლის განმავლობაში, იგეგმება და პერიოდულად ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, მათ შორის – ექსკურსიები, ლაშქრობები, სპორტული ტურნირები, სემინარები, ტრენინგები, კონცერტები, წვეულებები, შეხვედრები, საჯარო ლექციები, იმიტირებული სასამართლო პროცესები, კონფერენციები, პროფესიული ექსკურსიები, ეკლესია-მონასტრების აღდგენითი სამუშაოები, ფესტივალები, ერთჯერადი სტუდენტური დასაქმებები, სტაჟირებები, პრაქტიკები, საქველმოქმედო და სხვადასხვა სიმბოლური აქციები და ა.შ.

ასევე სტუ-ში სტუდენტებისათვის ფუნქციონირებს სამი სპორტული დარბაზი და 5 სპორტული სექცია, აგრეთვე თეატრი-სტუდია „მოდი-ნახე“, სადაც სტუდენტების მონაწილეობით იდგმება სპექტაკლები და სხვადასხვა წარმოდგენები; ფუნქციონირებს საგუნდო კაპელა და სიმებიან საკრავთა სტუდენტური კვარტეტი.

სტუ-ში მოქმედებს რამდენიმე სტუდენტური არასამთავრობო ორგანიზაცია და საინიციატივო ჯგუფი; არჩეულია სტუდენტური თვითმმართველობა, წარმომადგენლობით საბჭოსა და ფაკულტეტების საბჭოებში სტუდენტები წარმოდგენილები არიან კანონით დადგენილი კვოტის შესაბამისად და ჩართულები არიან უნივერსიტეტის მართვის პროცესში.

სტუდენტთა საუნივერსიტეტო აქტიურობის, სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი თანხა.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ღია კარის დღეზე, რომელიც ჩატარდება შაბათს, 20 თებერვალს, 12 საათზე, ადმინისტრაციული კორპუსის მესამე სართულზე, დიდ სააქტო დარბაზში; დასწრება შეუძლიათ აბიტურიენტებს, მათ მშობლებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

რუსთავის კოლეჯი

2009 წლის 24 დეკემბერს რუსთავის დამოუკიდებელმა ინსტიტუტმა გაიარა ინსტიტუციური აკრედიტაცია და ეწოდა რუსთავის კოლეჯი თანახმად იმისა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახეებად განისაზღვრა: 1. კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ბაკალავრიატის პროგრამებს; 2. სასწავლო უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს ; 3. უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის: ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება ის უნარ-ჩვევები და საჭირო კომპეტენციები, რომლებიც მოიცავენ ცოდნას, ფასეულობებსა და ღირებულებებს, რაც აუცილებელია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის სტანდარტის მისაღწევად, რათა არ გაუჭირდეს, მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით, შრომის ბაზარზე გასვლა და კონკურენცია.

კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამით როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

მიმდინარე სასწავლო წელს მიღება წარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

ჰუმანიტარული მეცნიერებანი
ფილოლოგია, ინგლისური ენა და ლიტერატურა.
სწავლის საფასური – 2250 ლარი.

ბიზნესი და მართვა
სწავლის საფასური – 2700 ლარი.

რუსთავის კოლეჯში ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

მისამართი: ქ. რუსთავი, გაგარინის ქ. № 8
ტელ.: 824192434, 899951860

თავისუფალი უნივერსიტეტის ოთხდღიანი გაცნობითი პროგრამები და ოლიმპიადები აბიტურიენტებისათვის

მიიღე მეტი ინფორმაცია მომავალ პროფესიაზე, დარწმუნდი შენი არჩევანის სისწორეში და მოიპოვე სასწავლო გრანტი

ყოველ კვირა, 14 მარტამდე, თავისუფალ უნივერსიტეტში
აბიტურიენტებისთვის ტარდება ოთხდღიანი გაცნობითი პროგრამები:

- კომპიუტერულ მეცნიერებებსა და მათემატიკაში
- ბიზნესის ადმინისტრირებაში
- სამართალში
- საერთაშორისო ურთიერთობებში

ლექციებს წაიკითხავენ თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორები.

ოთხდღიანი გაცნობითი პროგრამების შემდეგ, გაზაფხულზე, თავისუფალი უნივერსიტეტი ჩაატარებს ოლიმპიადებს მათემატიკაში, სამართალმცოდნეობასა და დამოუკიდებელ აზროვნებაში.

ოლიმპიადაში გამარჯვებული აბიტურიენტები
დაჯილდოვდებიან **სასწავლო გრანტებით.**

თუ გსურს მონაწილეობა მიიღო ოთხდღიან გაცნობით სასწავლო პროგრამაში, გაიარე რეგისტრაცია ჩვენს ვებგვერდზე ან დაგვიკავშირდი: 20 09 01. პროგრამებზე დასწრება და ოლიმპიადაში მონაწილეობა თავისუფალია. მონაწილეობას მიიღებს ყველა აბიტურიენტი, რომელიც გაივლის რეგისტრაციას.

ღია კარის დღე
ყოველ შაბათს, 12:00 საათზე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: ბედიას ქუჩა. ტელ.: 20 09 01
ელფოსტა: info@freeuni.edu.ge www.freeuni.edu.ge

პირველი გვერდიდან

დევნილ პედაგოგთა დასაქმება – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინიციატივა

დალი ხომერიკი: *„ახალ წლამდე რამდენიმე შეხვედრა გვქონდა მასწავლებლებთან, ისინი ხელფასების შენარჩუნებას ითხოვდნენ. რამდენჯერმე დავწერეთ შუამდგომლობის წერილი ზემდგომ ინსტანციაში, რომ გაეთვალისწინებინათ პედაგოგების მდგომარეობა და შეენარჩუნებინათ მათთვის ხელფასები. სამწუხაროდ, 2010 წლის ბიუჯეტში ეს არ აისახა და პედაგოგები უხელფასოდ დარჩნენ. 70 მასწავლებლიდან მხოლოდ ერთია დასაქმებული.*

დევნილ პედაგოგებს შეხვედრები ჰქონდათ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარესთან – გია ბარამიასთან, ასევე, პარლამენტის თავმჯდომარესთან – დავით ბაქრაძესთან. ორივე შემთხვევაში საუბარი პედაგოგების მიერ აღებული კრედიტების დაფარვას, მათთვის ხელფასების შენარჩუნებასა და დასაქმებას შეეხებოდა. ამდენი მცდელობის მიუხედავად, ქმედითი ჯერჯერობით არაფერი ჩანს. ჩვენი სამინისტროს ბიუჯეტი იმდენად მიზერულია, რომ შეუძლებელია მათი დახმარება. ერთადერთი, რაც შეიძლება გავაკეთოთ, ეს იქნება პროგრამების ამოქმედება, რომელშიც უშუალოდ დევნილი პედაგოგები ჩაერთვებიან

მათ კარგად იციან, რომ ჩვენს დონეზე ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია, აქცია ამიტომ მოეწყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინ. თუკი იქნება ნება ხელისუფლების მხრიდან მათთვის ამოქმედდეს მხარდასაჭერი პროგრამები, ბუნებრივია, ეს უიმედოდ დარჩენილი პედაგოგებისთვის სერიოზული დახმარება იქნება. ჩვენი მხრიდან, მაქსიმალურად გავაკეთებთ ყველაფერს, რომ ისინი ამ უიმედო მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ. გარდა იმისა, რომ ხელისუფლებას მუდმივად ვახსენებთ ჩვენს პრობლემებს, შეიძლება ითქვას, დღედაღამ ვეძებთ დონორებს, ვაცნობთ მათ პედაგოგების მდგომარეობას, ვუხსნით, რომ გაგვაჩნია ადამიანური რესურსები, გამოცდილება იმისა, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ კონფლიქტურ რეგიონში და, რაც მთავარია, გვაქვს მოტივაცია ავამუშაოთ სხვადასხვა ტიპის პროგრამები. დამატებითი ფონდების მოპოვების შემთხვევაში, უამრავი რამ შეიძლება გაკეთდეს მათთვის – საინტეგრაციო და დასაქმების პროგრამების, სამოქალაქო აქტივობების ცენტრების ამოქმედება. ერთადერთი გამოსავალია მოვიზიდოთ საგრანტო პროგრამები, რომლის ფარგლებშიც ჩავრთავთ ამ პედაგოგებს. გამუდმებით ვაწარმოებ მოლაპარაკებებს ეუთოს, ევროსაბჭოს, გერმანიის საელჩოს, იუნისეფის წარმომადგენლებთან. თუკი ეს შესაძლებლობები გაჩნდება (რაღაც ნიშნები გამოკვეთილია), ბუნებრივია, პირველ რიგში, სწორედ ამ პედაგოგებს დავაკმაყოფილებთ – ეს ჩვენი პრიორიტეტია. სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით ეს ჩვენს ძალებს აღემატება. სახელმწიფოს მხრიდან წმინდა პრაგმატული მიდგომაა – არ დააფინანსო იმ ადამიანების ხელფასი, რომლებიც არ მუშაობენ, თუმცა აქ უმჯობესია პრაგმატულობა გვერდზე გადავდოთ, რადგანაც საქმე იმ ადამიანებთან გვაქვს, რომლებიც ფრონტის ხაზზე იდგნენ და გმირობის ფასად ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ინარჩუნებდნენ. მათთვის ბუნებრივია, რაღაც უნდა გაკეთდეს.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ დევნილ სკოლებში, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რაიონში ფუნქციონირებენ, ამდენი წლის განმავლობაში, აგური აგურზე არ დადებულა, არაფერი გაკეთებულა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ მუდმივი მოლოდინია – დაიხურება თუ არ დაიხურება ეს სკოლები, არადა მათი დახურვის შემთხვევაში სერიოზული პრობლემა შეიქმნება. ბუნებრივია, მოსწავლეები იპოვიან სკოლებს სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ რას ვეუბნებით ასობით პედაგოგს, რომლებიც ამ სკოლებში არიან დასაქმებულები, ანუ ჩვენ გვეყოლება კიდევ 400 უმუშევარი პედაგოგი და მათ უკან მდგომი ათასობით ულუკმაპუროდ დარჩენილი ადამიანი. ამასთან დაკავშირებით დიმიტრი შაშკინთან მქონდა შეხვედრა და მინდა გითხრათ, რომ მისი მხრიდან სერიოზული მხარდაჭერა აქვთ დევნილთა სკოლებს, თუმცა, ზოგადად, საპირისპირო განწყობაა დევნილთა სტატუსით სკოლების არსებობასთან დაკავშირებით. სკოლებისათვის დევნილთა სოციალური სტატუსის მოსახსნელად დავიწყებთ დიდ კამპანიას და მათ აფხაზეთის სამშვიდობო სკოლების სტატუსით შევცვლით, პრაქტიკულად, კონტექსტი იგივეა, მაგრამ სამშვიდობო სკოლების სტატუსის მანდატის ამოქმედება ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ გაზრდის სერიოზული ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობას უცხოელი დონორებისაგან.

რაც შეეხება გალის რაიონის სკოლის პედაგოგებს, ამ მხრივ, ცვლილება არ არის, ისინი ისევე ფინანსდებიან ცენტრალური ბიუჯეტიდან, როგორც წინა წლებში – ამით სახელმწიფო ინარჩუნებს გალში ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს.

და კიდევ, რაც შეეხება მასწავლებელთა სერტიფიცირებას – ჩვენი პედაგოგები ამ პროცესშიც სერიოზულად ჩაერთვნენ, კონფლიქტის ზონიდან კიდევ 200-მდე ვაუჩერზეა მოთხოვნა. ვფიქრობთ, ამ მოთხოვნასაც დავაკმაყოფილებთ. პირველ ეტაპზე ვაუჩერები მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის გამოიყო. ჩვენ აუცილებლად მივაქცევთ ყურადღებას, რომ სერტიფიცირების პროცესში უხელფასოდ დარჩენილი დევნილი პედაგოგებიც ჩაერთონ, რათა ისინი კონკურენტუნარიანი გავხადოთ და დასაქმების მეტი შანსი მივცეთ. ვაწარმოებთ, ასევე, მოლაპარაკებებს პროვაიდერებთან, რათა მათ დამატებითი ტრენინგები ჩაუტარონ ჩვენს პედაგოგებს. გარდა ამისა, აუცილებლად მივაღწევთ იმასაც, რომ კოდორიდან დევნილ პედაგოგებს მიეცეთ საშუალება, უფასოდ გაიარონ ტრენინგები სასერტიფიკაციოდ.

ბუნებრივია, უიმედოდ არ მეჩვენება უხელფასოდ დარჩენილი პედაგოგების მოთხოვნა და მცდელობა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მიიღონ მხარდაჭერა, თუნდაც ერთჯერადი პროექტების სახით. ჩემი პირველი ინსტანცია აფხაზეთის მთავრობაა. ბატონ გია ბარამიასთან არაერთხელ მქონია საუბარი და კიდევ ბევრჯერ ვიმსჯელებთ იმაზე, რომ უმაღლეს ინსტანციამდე მივიდეს ჩვენი და ჩვენი პედაგოგების ხმა“.

ლალი ჯელაძე

გამოკითხვა

პედაგოგები სერტიფიცირების შესახებ

თბილისის პირველი საჯარო სკოლა

ლია სალუქვაძე, ქიმიის პედაგოგი: ჩემი თაობის პედაგოგებს ტესტირების გარკვეული გამოცდილება გვაქვს, ამდენად, ასეთი გამოცდა უცხო არ არის, არც სერტიფიცირებაზე არ გვაქვს პრეტენზია. თუმცა კონკრეტული შენიშვნები და მოსაზრებები მაქვს. 166-ე სკოლაში ქიმიკოსებმა და ბიოლოგებმა მოსამზადებელი საგნობრივი ტესტირება გავიარეთ, რომლის მიზანი, ალბათ, იმ ტესტებისა და საკითხების გამოცდა იყო, რაც ჩვენი საგნის პედაგოგებისათვის მზადდება. მართალი გითხრათ, ეს ტესტები ჩემთვის მიუღებელია. საინტერესოა ამ საკითხების შემდგენელი ადამიანები რამდენად კომპეტენტურები არიან, რამდენად აისახება სასკოლო პროგრამა. ბიოლოგებმა უბრალოდ მიატოვეს ტესტირება, ქიმიკოსებმა კი ერთობლივად ვაკეთეთ ტესტები. რატომ არის ეს სირთულე, რა არის ამის მიზანი? სერტიფიცირებული პედაგოგები, ბუნებრივია, უნდა იყვნენ პრივილეგირებულები. დღესაც არიან სკოლებში ერთეული პედაგოგები, რომლებიც მართლაც რომ ხელისგულზე სატარებლები არიან, თუმცა ამას დღეს არავინ ხედავს, განსხვავებულ ანაზღაურებაზე ხომ საუბარი ზედმეტია. რასაკვირველია, წინააღმდეგი არ ვარ ტესტირების, მაგრამ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ კუთხით. პირველ რიგში, აუცილებელია ამ პროცესში ჩართონ გამოცდილი, პრაქტიკოსი პედაგოგები, რომლებმაც იციან, რა არის სკოლა. ეს არ არის მხოლოდ უნარ-ჩვევები და საგნის ცოდნა, მასწავლებლობა ღვთისაგან ბოძებული ნიჭიცაა, ფსიქოლოგიურიც და სამსახიობო ნიჭიც და კიდევ, ადამიანური თვისებების ერთობლიობა.

სვეტა ფანგანი, რუსულის მასწავლებელი: ამ ტესტირების მიზანი თეორიული ცოდნის გამომჟღავნებაა და სერტიფიკატიც სწორედ თეორიული ცოდნის მაჩვენებელია, მაგრამ იყო კვალიფიციური მასწავლებელი ეს სულ სხვაა. შეიძლება მასწავლებელმა თეორიული საკითხები ბრწყინვალედ ჩააბაროს, მაგრამ კარგი პედაგოგი არ იყოს. მასწავლებლის შესაფასებლად აუცილებელია გაკვეთილს დაესწრო და მოსწავლეთა შედეგები ნახო. ეს გაცილებით მეტს ამბობს მასწავლებელზე, ვიდრე მისი თეორიული ცოდნის შემოწმება. მასწავლებელი ფსიქოლოგიც არის, რომელსაც საქმე აქვს ბავშვთან და მის გარდამავალ ასაკთან დაკავშირებულ პრობლემებთან, ანუ შეიძლება ტესტირება ბრწყინვალედ ჩააბარო, მაგრამ მასწავლებლად არ ვარგოდე.

ფატი ფირუაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი: მე მაქვს ასეთი პოზიცია – ჩემთვის გაურკვეველია, რისთვის მჭირდება პრაქტიკაში ზოგიერთი საკითხის ცოდნა ან არ მესმის, რას მეკითხებიან: უნდა ვიცოდე, მაგალითად, რომელიმე მწერლის მთელი შემოქმედება? რას მეკითხებიან, რა უნდა ვიცოდე? ყველა ადამიანს აქვს ღირსება, თავმოყვარეობა. თუ ვერ ჩავაბარე ეს გამოცდა, ხომ შეილახება ჩემი პროფესიული თავმოყვარეობა. ამ ტიპის გამოცდილება ჩვენს განათლების სისტემას უკვე აქვს. იმას ვგულისხმობ, რომ პროგრამა ძალიან დიდი მოცულობისაა და არ არის დაკონკრეტებული, ვერ ვიგებ, მაგალითად, ეგნატე ნინოშვილის რომელიმე ნაწარმოები რა დეტალებში უნდა მახსოვდეს, რა უნდათ ჩემგან და რა მიზანს ემსახურება ჩემი კონკრეტული ცოდნა. რა მოგვცა ტრენინგებმა? პირადად მე, მიმდინარე რეფორმის პერიოდში რამდენიმე ტრენინგი გავიარე. გულწრფელად გეტყვით, რომ სულ მცირე რამ დამრჩა იქიდან. კულუარულად ამაზე ყველა საუბრობდა და ერთ დასკვნამდე მიდიოდა – ფაქტობრივად არაფერი. ეს ყველაფერი ან ჩვენამდე მოდის დამახინჯებული ფორმით – საიდანღაც გადმოთარგმნილი, ცუდად გადამუშავებლი, ან არადა, ჩვენ ჩამოვრჩით გონებრივად.

მართალი გითხრათ, ახლა ვერ გავიარე ტესტირებისთვის მოსამზადებელი ტრენინგები, სურვილი მქონდა, მაგრამ ვერ მოვასწარი. მართალია, არაკორექტულია ამის თქმა, თუმცა მაინც გეტყვით, რომ მაინცდამაინც არა მაქვს ისეთი წარმოდგენა, რომ აქედან რაღაც ღირებულს მივიღებდი, რადგან წლების განმავლობაში ვერაფერი მივიღე ტრენინგებისგან ისეთი, რასაც პრაქტიკაში გამოვიყენებდი, თუმცა ინტერესი მაინც მაქვს ვნახო, რას გვთავაზობენ – რა შეიძლება ამ ტრენინგებმა მოგვცეს. ტრენინგებზე ასეთი შეხედულება, ბუნებრივია, უმიზეზოდ არ მაქვს. უხერხულია, როცა ზოგადად საუბრობ და ვერ აკონკრეტებ. ერთ-ერთ, ასე ვთქვათ, ტრენერს, ტრენინგის ჩატარების შემდეგ, პირად საუბარში ვკითხეთ, თუ როგორ გამოვიყენოთ ეს პრაქტიკაში, გვიპასუხა, რომ პრაქტიკაში ეს ასე არ ხდება, ანუ იმ კონკრეტულ ტრენინგს ფორმალური ხასიათი ჰქონდა. აბსოლუტურად გეთანხმებით იმაში, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირება და მათი დონის ამაღლება აუცილებელია, მე თავადაც ვმონაწილეობდი ტრენინგების პროცესში, შევხვედრივარ მასწავლებელთა კოლექტივებს და ზოგჯერ გაოცებული დავრჩენილვარ იმ დონით და ხარისხით, ყოფილა ამბიცია, პრეტენზიაც მათი მხრიდან, რომ ბევრი რამ იციან და ა.შ. მინახავს მასწავლებელი, რომელსაც უკითხავს, რატომ უნდა იცოდეს, მაგალითად, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, რაც ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი და გაუგებარია. უნდა არსებობდეს საზღვარი, ჩარჩო, თუ რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა, ამავე დროს, აუცილებლად უნდა იცოდეს მიზანი, თუ რატომ უნდა იცოდეს. მე განვუმარტე იმ მასწავლებელს, თუ რატომ უნდა იცოდეს შექსპირი და რა პარალელები შეიძლება გაავლოს ქართული ლიტერატურის სწავლებისას.

მოგეხსენებათ, ქართული ლიტერატურა თექვსმეტსაუკუნოვანია, ამხელა პერიოდს იმდენი მწერალი ჰყავს და იმდენი რამ შეიძლება მკითხო, რომ არა მაქვს გარანტია ყველაფერზე გიპასუხო. ანუ არსებობს ჩამონათვალი, რომელსაც არ აქვს კონკრეტიკა, რაც ჩემი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, მასწავლებელმა, უნად იცოდეს კოკნრეტულად, თუ რა იქნება მისი წამახალისებელი სერტიფიცირების შემთხვევაში.

გულწრფელად გეტყვით, რომ არ მაქვს გადაწყვეტილი, წელს მივიღებ თუ არა სერტიფიცირებაში მონაწილეობას. არც ის მესმის, რატომ იყო ვაუჩერი დასწრებაზე, შეზღუდული რაოდენობით. ამბობენ, კიდევ იქნება თებერვალში ვაუჩერებიო, ვფიქრობ, გამოვიყენო, თუკი დავარწმუნებ თავს იმაში, რომ იქიდან რაღაც სარგებელს მივიღებ და გამოცდებზე მინიმალურ ზღვარს გადავლახავ, მაგრამ ჯერ ფსიქოლოგიური ბარიერი მაქვს გადასალახი.

თბილისის №67 საჯარო სკოლა

ხათუთი ხვედელიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: მასწავლებელს გამოცდის ჩაბარების არ უნდა ეშინოდეს, ამდენად სერტიფიცირების მომხრე ვარ, მაგრამ საჭიროა რიგიანი მომზადება. მე უამრავი ტრენინგი მაქვს გავლილი, ვისაც არ გაუვლია, იმათ სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება გაუჭირდებათ. ასეთი კი ბევრია. მიუხედავად იმისა, რომ საჭირო მასალები ხელმისაწვდომია, გამოვიდა წიგნები, ვიღებთ სათანადო ინფორმაციას, დრო მაინც ცოტაა, უფრო საფუძვლიანი მომზადებაა საჭირო. რაც მთავარია, არ გვაქვს ტესტები. ეს აუცილებელია. ტრენინგი, რაც უნდა ხარისხიანი იყოს, არ არის საკმარისი, რომ კარგად ჩააბარო გამოცდა.

ირინა ქენქაძე, ისტორიის მასწავლებელი: პირველ ეტაპზე ჩვენ არ გვიწევს სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა, ხომ უნდა მოვემზადოთ. მიმაჩნია, რომ ტრენინგებზე აუცილებელია საგამოცდო ტესტები, რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია ვიცოდეთ, დაახლოებით, რა ჩარჩოშია საგამოცდო საკითხები, რა დონე მოითხოვება. კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა – ჩემი აზრით სერტიფიცირებისგან უნდა გათავისუფლდნენ ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომელთაც სულ რამდენიმე წელი დარჩათ საპენსიო ასაკამდე. მათთვის არ არის იოლი სიახლეების ათვისება-დამახსოვრება, არც გამოცდის ჩაბარება, თავიანთი გამოცდილებით, ცოდნით, პედაგოგიური ხელოვნებით მათ შეიძლება გაცილებით უკეთესი გაკვეთილი ჩაატარონ, ვიდრე სერტიფიცირებაგავლილმა ახალგაზრდა მასწავლებელმა.

იზა ღვინჯილია, ისტორიკოსი: ნამდვილად აუცილებელია გამოცდა, მაგრამ ამას წინ უნდა უძღოდეს სერიოზული მოსამზადებელი პერიოდი. ასე მგონია, გამოცდაზე არგასვლით ჩემი მოსწავლეებისა თუ კოლეგების თვალში, ჩემი რეპუტაცია დაეცემა. ისიც სირცხვილად მიმაჩნია, რომ მხოლოდ ბარიერი გადავლახო და 70-80 ქულა მაინც არ ავიღო. ე.ი. აუცილებლად უნდა გავიარო სერტიფიცირება, მაგრამ უკეთ უნდა ვიყოთ მზად – საჭიროა მეტი დამატებითი ლიტერატურა. ჩვენი საგანი ზღვა მასალას გულისხმობს, მხოლოდ საქართველოს ისტორია ხომ არ არის, ჩვენ მსოფლიო ისტორიას ვასწავლით, თან ტესტირებაზე ბევრი ისეთი საკითხის ცოდნა მოგვეთხოვება, რაც სასწავლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული, ამიტომ, ვეთანხმები ჩემს კოლეგებს, აუცილებელია, სამუშაოდ გვქონდეს კონკრეტული საკითხები, საგნების მიხედვით გამოცემული ტესტები, ასევე ზოგად უნარებშიც.

ლელა ლომიძე, ხელოვნების მასწავლებელი: გარკვეული პერიოდულობით მსგავსი სერტიფიცირება აუცილებლად მიმაჩნია. ვინც ნამდვილი პედაგოგია და უნდა ბავშვებთან მუშაობა, სიახლეებს ისედაც უნდა იძიებდეს, ყოველგვარი ზემოდან მოთხოვნის გარეშე. მაგრამ არის კი ამ სახის სერტიფიცირება პედაგოგის პროფესიონალიზმის დამდგენი? ვეჭვობ, რომ არა. თეორიული საკითხების ცოდნა და ჩაბარება ერთია, მეორეა – ფლობს თუ არა პედაგოგი ამ ცოდნის ბავშვებამდე მიტანის ხელოვნებას. შეიძლება რომელიმე კარგი პედაგოგი, ცოდნის მარაგის თვალსაზრისით, ვერც შეედაროს ამ დარგის რომელიმე აღიარებულ მეცნიერს, მაგრამ მასზე უკეთესი გაკვეთილი ჩაატაროს – მარტივად და გასაგებად მიიტანოს ბავშვებამდე ესა თუ ის საკითხი და ინტერესიც გაუღვივოს მეტის ნაკითხვისა და გაგებისათვის, გზა და მიმართულება უჩვენოს ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად. პედაგოგის მიზანი და მთავარი ამოცანაც, ჩემი აზრით, ეს არის. პირველ რიგში სწორედ ამ კუთხით უნდა გამოიცადოს მასწავლებელი და არამხოლოდ თეორიული საკითხების ცოდნაში. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, კარგი პედაგოგის ამოცნობის რაღაც სხვა კრიტერიუმიც შემუშავდეს.

იზა ღვინჯილია: დიახ, ამის თქმა მეც მინდა. ვეთანხმები ქალბატონ ლელას. ერთია საგამოცდო ვითარებაში გამომჟღავნებული ცოდნა და მეორეა პედაგოგის ხელოვნება – აუდიტორიასთან, ამ შემთხვევაში, კლასთან ურთიერთობის ხელოვნება, მასწავლებელი სწორედ აქ იცნობა, აქ უნდა შემოწმდეს მისი ცოდნაცა და ამ ცოდნის ბავშვებამდე მიტანის უნარი. პედაგოგის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა ის, მაგალითად, თამარ მეფის რეფორმებზე სასაუბროდ შედის გაკვეთილზე, მაგრამ იქ სულ სხვა განწყობა ხვდება. ამ დროს შეიძლება გადაუხვიოს თემას და, აუდიტორიის ინტერესის გათვალისწინებით, სულ სხვა თემაზე ისაუბროს. ეს არ არის დაკარგული დრო, პირიქით, აუცილებელიცაა იმისთვის, რომ პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობა ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებაზე იყოს დამყარებული. პედაგოგის შესამოწმებლად უკეთესი იქნება, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, მოვიდნენ და ნახონ, როგორ გაკვეთილს ატარებს. აქ ყველაფერი ჩანს – თეორიული ცოდნა, სიახლეების, მეთოდიკის ცოდნა – არცოდნა, პედაგოგიური ხელოვნება და კიდევ ბევრი რამ, რასაც კარგი გაკვეთილი გულისხმობს და რითაც პედაგოგი, ცოდნის მიწოდებასთან ერთად, ბავშვის სიყვარულსაც იმსახურებს.

ქეთევან სამადაშვილი, ფილოლოგი: მხოლოდ საგნის ფლობა ნამდვილად არ ნიშნავს კარგ პედაგოგობას. ეს გაკვეთილზე გამოჩნდება, როგორ დააინტერესებ კლასს საკითხით, რამდენად ეფექტურ მეთოდს აირჩევ ამისათვის. მთავარი, ვფიქრობ, ეს არის. რაც შეეხება კვალიფიკაციის ამაღლების, სიახლეების ათვისებისათვის ზრუნვას, ეს უდაოდ აუცილებელია და ყველა მასწავლებელი ვალდებულია, გარკვეული პერიოდულობით, გაიაროს შესაბამისი კურსები, მოისმინოს ლექციები გამოცდილი პედაგოგებისა თუ მეთოდისტებისგან და გამოცდაც იქვე ჩააბაროს როგორც თეორიული საკითხების, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ცოდნაში. ჩვენ ხომ გვასწავლიან, რომ გაკვეთილი შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული, ასევე უნდა მოწმდებოდეს მასწავლებელიც, შეიძლება ტესტირებისას თეორიული ცოდნა გამოვამჟღავნო, ძალიან მაღალი ქულებიც დავაგროვო, მაგრამ ვინ იცის, როგორ მიმაქვს მე ეს ცოდნა მოსწავლეებამდე. ცუდი და კარგი პედაგოგის წარმოჩენის სახე ხომ გაკვეთილია, ამიტომ ვეთანხმები კოლეგებს, რომ რაღაც სხვა კრიტერიუმიცაა მოსაფიქრებელი – გაკვეთილზე დასწრება, ბავშვების გამოკითხვა და სხვ.

თბილისის №26 საჯარო სკოლა

მაია კაპანაძე, ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი: შარშან, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული 160-ლარიანი ვაუჩერით, საგნობრივი ტრენინგებიც გავიარეთ და პროფესიული უნარებიც. ძალიან საინტერესო და საჭირო ინფორმაცია მივიღეთ, თუმცა ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ პროგრამისა, რაც სასერტიფიკაციო გამოცდაზე მოგვეთხოვება. ამიტომ სრულფასოვანი მომზადებისთვის დრო გვჭირდება. ამ ეტაპზე, გამოცდებთან დაკავშირებით, მხოლოდ დროის პრობლემა დგას. საჭირო სახელმძღვანელოებიც გვაქვს და მოვემზადებით კიდეც. პედაგოგი გამუდმებით უნდა გადამზადდეს და განვითარდეს, ამაზე სახელმწიფომაც უნდა იზრუნოს და თავად პედაგოგმაც. პირადად მე არავის დაველოდები, რომ რაიმე სიახლე გამაცნოს, თავადაც მოვიძიებ და მივაწვდი ჩემს მოსწავლეებს, მაგრამ, როცა გამოცდებზეა ლაპარაკი, აქ სერიოზული მომზადებაა საჭირო, ამიტომ ვამბობ, რომ საამისოდ ცოტა დრო გვაქვს, თორემ დაუძლეველი და აუთვისებელი არაფერია.

ხათუნა ყავლაშვილი, მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: ვეთანხმები ჩემს კოლეგას, დრო მართლაც ცოტაა, ზღვა მასალა გვაქვს ასათვისებელი, საზაფხულო არდადეგების შემდეგ რომ ყოფილიყო სასერტიფიკაციო გამოცდა, მეტი დრო გვექნებოდა მოსამზადებლად. არ მინდა შევრცხვე ჩემს მოსწავლეებთან, მეგობრებთან, კოლეგებთან, ამიტომ ვნერვიულობ, თორემ თავისთავად გამოცდის წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, არ ვარ, პირიქით, პედაგოგი სისტემატურად უნდა იმაღლებდეს კვალიფიკაციას, ეს სადაო არ არის. როცა ჩვენგან ითხოვენ, რომ ვიყოთ ჩვენი საქმის პროფესიონალები და ვატარებდეთ თანამედროვე სტანდარტების დონის გაკვეთილებს, ამაში სახელმწიფომ ხელიც უნდა შეგვიწყოს. ვერც ერთ მწვრთნელს, ვინც ჩვენ ტრენინგებს გვიტარებდა, ვერ წავუყენებ პრეტენზიას, რომ უხარისხო ლექციებს გვიკითხავდნენ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია, გაცილებით დიდი მოცულობის მასალაა ჩასაბარებელი. კიდევ ერთი ხარვეზი – ჩვენ არ ვიცით კონკრეტული საგამოცდო საკითხები. ვფიქრობ, აუცილებელია წინასწარ იყოს ცნობილი საგამოცდო ტესტები. მით უმეტეს, რომ მასში მხოლოდ პროგრამული მასალა არ შედის.

ჯულიეტა კოვზაძე, დაწყებითი კლასების მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პრეზიდენტის სტიპენდიანტი: 31 წელია, პედაგოგი ვარ და გადამზადების კურსებს ყოველ 3 წელიწადში გავდიოდით. ეს მართლაც აუცილებელია მასწავლებლის პროფესიული ზრდისთვის. თანამედროვე მოთხოვნების ფონზე ასევე აუცილებლად მიმაჩნია სასერტიფიკაციო გამოცდები, მაგრამ სერიოზული მოსამზადებელი პერიოდის გათვალისწინებით და არა ასე ნაჩქარევად. გამოცდაზე შერცხვენას მირჩევნია საერთოდ წავიდე სკოლიდან. მე სამი საგანი უნდა ჩავაბარო და პროფესიული უნარები, ეს ზღვა მასალაა. ამიტომ ვამბობ, უნდა იყოს კონკრეტული საკითხები, როგორც ეს მოსამართლეების თუ ექიმების შემთხვევაში იყო, თუნდაც 1000-3000 საკითხი, ღამეებს გავათენებთ, ვიმეცადინებთ, თუ საჭიროდ ჩავთვლით ფასიან კურსებსაც გავივლით და დარწმუნებული ვარ, მაღალ შედეგებსაც ვაჩვენებთ. ინსტიტუტი წითელ დიპლომზე მაქვს დამთავრებული, ძალიან ბევრს ვშრომობდი, რომ 5-იანები მიმეღო. ამ ასაკში კიდევ მეტი შრომა დამჭირდება, რომ ღირსეულად ჩავაბარო გამოცდა, ნაკლები შედეგი არც ახლა მინდა მქონდეს. ამის შესახებ პედაგოგებმა განათლების სამინისტროშიც გამოთქვეს აზრი, სასურველი და აუცილებელიც კია გამოცდის ორგანიზატორებმა ეს გაითვალისწინონ.

გარდა ამისა, სასერტიფიკაციო გამოცდებს წინ უნდა უსწრებდეს საკანონმდებლო ბაზა. დებულებაში ჩაწერილი ზოგადი ფრაზები არაფერს ნიშნავს. კანონი უნდა ამყარებდეს იქ გამოთქმულ მოსაზრებებს – სერტიფიცირებული პედაგოგი ნამდვილად უნდა იყოს პრივილეგირებული, თუ რაში გამოიხატება ეს პრივილეგია, ეს კანონში უნდა აისახოს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 001

მისამართი: თბილისი 0128, იაკობ ჯავახიშვილის გამზირი №1

საკონტაქტო ტელეფონები: 25 39 71; ელ.ფოსტა: giorgi.khubua@tsu.ge, ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge

	ფაკულტეტების დასახელება	პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კredიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	ბიოლოგია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პროფილები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
00107	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	სახვითი ხელოვნება	ქართ.	120	2250	20		12												2

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია 002

მისამართი: 0108, ქ. თბილისი, ყრიბოედოვის ქ. №8-10

საკონტაქტო ტელეფონები: 987027, ფაქსი: 987187; ელ.ფოსტა: info@conservatoire.edu.ge ვებგვერდი: www.conservatoire.edu.ge

განსაკუთრებული მოთხოვნები: *შემოქმედებითი ტესტები ბაკალავრიატსა და პროფესიულ პროგრამებზე ნატარდება განსხვავებული მოთხოვნებით. შემოქმედებითი ტესტების მისაღები მოთხოვნები იხილეთ კონსერვატორიის ვებგვერდზე.*

	ფაკულტეტების დასახელება	პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კredიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	ბიოლოგია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პროფილები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
00209	საშემსრულებლო	საგუნდო-სადირიჟორო	ქართ.	120	1500	5											12			11
00214	საშემსრულებლო	ჯაზის ხელოვნება (ვოკალური)	ქართ.	180	1500	5											12			11
00216	საშემსრულებლო	ჯაზის ხელოვნება (საკრავიერი)	ქართ.	180	1500	12											12			11
00217	საშემსრულებლო	საორკესტრო-სიმებიანი საკრავები (კლასიკური გიტარა)	ქართ.	180	1500	5											12			11
00218	საშემსრულებლო	ბალეტის ხელოვნება	ქართ.	180	1500	3											12			11
00219	კომპოზიციისა და მუსიკის თეორიის	მუსიკის თეორია (დაწყებითი სამუსიკო სკოლისა და საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელი)	ქართ.	180	1500	10		2									10			11-2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 003

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას ქ. №77

საკონტაქტო ტელეფონები: 365429 ვებ-გვერდი: www.gtu.ge ელ.ფოსტა: kanc@gtu.ge

	ფაკულტეტების დასახელება	პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კredიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	ბიოლოგია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პროფილები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
00309	სამშენებლო	სამოქალაქო მშენებლობა	ქართ.-რუს.	150	1500	210		12												2
00310	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის	ენერგეტიკა	ქართ.-რუს.	150	1500	200		12												2
00311	სამთო-გეოლოგიური	სამთო-გეოლოგია	ქართ.	150	1500	100		12												2
00312	ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის	ქიმიური და მეტალურგიული ტექნოლოგია	ქართ.	150	1500	100		12												2
00313	სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის	ტრანსპორტისა და მექანიკის ინჟინერია	ქართ.	150	1500	200		12												2
00314	არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის	არქიტექტურა	ქართ.	150	1500	15		12												2
00315	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების	ინფორმაციული ტექნიკა და ტექნოლოგიები	ქართ. რუს. ინგლ.	150	1500	300		12												2

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 004

მისამართი: 0118 ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №19

საკონტაქტო ტელეფონები: 98-30-78; ვებგვერდი: www.tafu.edu.ge ელ.ფოსტა: tafu@lingua.edu.ge

აბიტურიენტთა საყურადღებოდ:

დრამის ფაკულტეტი - შემოქმედებით ტურში იგულისხმება:

პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებისათვის:

- სცენის ტექნოლოგია და დიზაინი - პრაქტიკული დავალების შესრულება (ხატვა), გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ფოტოები, ნახატები.

- ქორეოგრაფია-რეპეტიტორი /კლასიკური ცეკვები/ - კლასიკური ცეკვა, გასაუბრება.

- სანახაობრივ ღონისძიებათა დიზაინი - *პრაქტიკული დავალების შესრულება (ხატვა), გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ფოტოები, ნახატები.*

- საესტრადო ვოკალი - *ვოკალური მონაცემების შემოწმება, სიმღერა, გასაუბრება*

კინო-ტელე ფაკულტეტი - შემოქმედებით ტურში იგულისხმება:

პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებისათვის:

- მხატვრული ფოტოგრაფია - გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ფოტოები, ნახატები.

- კინოდრამატურგია - *გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევრები (სცენარი, მოთხრობა, ნარკვევი - 2 ნაბეჭდი გვერდის მოცულობით, ნახატები, ფოტოები, სტატიები).*

	ფაკულტეტების დასახელება	პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კredიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	ბიოლოგია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პროფილები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
00406	კინო-ტელე	მხატვრული ფოტოგრაფია	ქართ.	120	2250	25											12	გასაუბრება		11
00407	დრამის	სცენის ტექნოლოგია და დიზაინი	ქართ.	150	2250	15											12	ხატვა, გასაუბრება		11
00408	დრამის	ქორეოგრაფია-რეპეტიტორი (კლასიკური ცეკვები)	ქართ.	120	2250	10											12	კლასიკური ცეკვა, გასაუბრება		11
00409	დრამის	საესტრადო ვოკალი	ქართ.	150	2250	10											12	სიმღერა, გასაუბრება		11
00410	კინო-ტელე	კინოდრამატურგია	ქართ.	150	2250	10											12	გასაუბრება		11
00411	დრამის	სანახაობრივ ღონისძიებათა დიზაინი	ქართ.	150	2250	15											12	ხატვა, გასაუბრება		11

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 006

მისამართი: 0177, თბილისი, ვაჟა-ფშაველას 33

საკონტაქტო ტელეფონები: 54 24 70; ელ.ფოსტა: iad@tsmu.edu, ვებ გვერდი: www.tsmu.edu

	ფაკულტეტების დასახელება	პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კredიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	ბიოლოგია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პროფილები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
00606	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი. უმაღლესი პროფესიული მედიცინისა და ფარმაციის სკოლა	ზოგადი პროფილის მედდა	ქართ	180	1500	50		12												2
00609		სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი	ქართ	150	1500	15		12												2
00611		ფარმაცევტის თანაშემწე	ქართ	120	1500	30		12												2
00612		ბებიაქალი	ქართ	180	1500	10		12												2

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 009 (ქ. ქუთაისი)

მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის 59

საკონტაქტო ტელეფონები: (8331) 45784; ფაქსი: (8331) 43833; ელ.ფოსტა: atsu@atsu.edu.ge, ვებ-გვერდი: www.atsu.edu.ge

აბიტურიენტთა საყურადღებოდ: სახლვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი განთავსებულია ქალაქ ფოთში, 9 აპრილის ხეივანი №11

	ფაკულტეტების დასახელება	პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კredიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	ბიოლოგია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პროფილები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
00908	საზღვაო - სატრანსპორტო ძველი	საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა; საგუდიტორო საქმე	ქართ.	150	1500	120		12												2

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 010

მისამართი: 0162 თბილისი, ქ. ნოლოყაშვილის 3/5

საკონტაქტო ტელეფონები: (995 32) 294612; ელ.ფოსტა: uni@iliauni.edu.ge, ვებ-გვერდი: www.iliauni.edu.ge

	ფაკულტეტების დასახელება	პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კredიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	ბიოლოგია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პროფილები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
01005	მეცნიერებისა და ხელოვნების	კომპიუტერული დიზაინი და გრაფიკა	ქართ.	180	2250	12		12												2

| | | |

პროგრამის ფარგლებში. შემოქმედებითი ტური აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებზე იდნერტურია.

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური ვადა	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტურები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
09806		თეატრის ტექნოლოგია (თეატრის დეკორატორ-ტექნიკოსი)	ქართ.	120	1500	5		2									10			11-2
09807		გრაფიკული დიზაინის ტექნოლოგიები (მიმდინარე-ტექნოლოგი)	ქართ.	120	1500	5		2									10			11-2
09810		სივრცის ორგანიზაციის და გაფორმების სპეციალისტი	ქართ.	120	1500	10		2									10			11-2
09811		საპროექტო-სამშენებლო კომპანიების სერვისცენტრის მენეჯერი /მშენებლობის მართვის სპეციალისტი	ქართ.	120	1500	10		2									10			11-2
09812		მოდის დიზაინი	ქართ.	120	1500	7		2									10			11-2
09813		მხატვრული კერამიკა	ქართ.	120	1500	5		2									10			11-2
09814		საოუფლერო ნაწარმის, ლითონის და სხვა მასალათა მხატვრული დამუშავება	ქართ.	120	1500	5		2									10			11-2
09815		ტექსტილის დიზაინი	ქართ.	120	1500	5		2									10			11-2
09816		ხის მხატვრული დამუშავება და ავეჯის დიზაინი	ქართ.	120	1500	5		2									10			11-2
09817		მხატვრული მინა	ქართ.	120	1500	5		2									10			11-2
09818		კომპიუტერული და კლასიკური ანიმაცია	ქართ.	120	1500	10		2									10			11-2
09819		ტიპოგრაფია - საგამომცემლო დიზაინი	ქართ.	120	1500	10		2									10			11-2

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 114 (ქ. ბათუმი)

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35

საკონტაქტო ტელეფონები: 71787, (888 222)72516; ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge ვებგვერდი: www.bsu.edu.ge

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური ვადა	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტურები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
11411	მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა	კომპიუტერული ტექნოლოგიები	ქართ.	180	1500	50		12												2
11413	სასოფლო-სამეურნეო	აგრონომია	ქართ.	180	1500	20		12												2
11414	სასოფლო-სამეურნეო	აგროინჟინერია	ქართ.	180	1500	20		12												2
11415	საინჟინრო-ტექნოლოგიური	სამოქალაქო მშენებლობა	ქართ.	150	1500	20		12												2
11417	საინჟინრო-ტექნოლოგიური	ელექტროენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	ქართ.	150	1500	15		12												2
11420	ჯანდაცვის	საექთნო საქმე	ქართ.	180	1500	30		12												2
11421	საინჟინრო-ტექნოლოგიური	ქიმიური ტექნოლოგიები	ქართ.	150	1500	15		12												2

საქართველოს უნივერსიტეტი 121

მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას 77ა

საკონტაქტო ტელეფონები: 241144 ელ.ფოსტა: ug@ug.edu.ge ვებ-გვერდი: www.ug.edu.ge

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური ვადა	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტურები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
12118	ბიზნესის მართვის	ბუღალტერია და საუდიტორო საქმე	ქართ. ინგლ.	120	3250	45		12												2
12119	ჟურნალისტიკის	ჟურნალისტიკა	ქართ.	120	3250	25		12												2

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი 127 (ქ. ქუთაისი)

მისამართი: 4616, ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №21

საკონტაქტო ტელეფონები: 8 231 21146, ფაქსი: 8 231 20614; ელ.ფოსტა: quality@ssmsu.edu.ge ვებ-გვერდი: www.ssmsu.edu.ge

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური ვადა	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტურები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
12703	სუბტროპიკული მეურნეობის, ეკონომიკისა და ტურიზმის	აგროეკოლოგია (მიწათმომზეობ-რეგისტრატორი)	ქართ.	120	1000	30		12												2
12704	სუბტროპიკული მეურნეობის, ეკონომიკისა და ტურიზმის	აგროტექნოლოგია (ფერმერული მეურნეობის მენეჯერი)	ქართ.	120	1000	30		12												2
12705	სუბტროპიკული მეურნეობის, ეკონომიკისა და ტურიზმის	სატყეო, საბაღო-საპარკო მეურნეობა (ლანდშაფტის დიზაინერი)	ქართ.	120	1000	30		12												2
12706	სუბტროპიკული მეურნეობის, ეკონომიკისა და ტურიზმის	ტურიზმი (ექსკურსიამბლოლი)	ქართ.	120	1000	30		12												2
12710	სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციისა და ტექნოლოგიის	სასურსათო ტექნოლოგია (პურპროდუქტების ტექნოლოგი)	ქართ.	120	1000	30		12												2
12711	სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციისა და ტექნოლოგიის	გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა (აგენტ-ექსპედიტორი)	ქართ.	120	1000	30		12												2

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი 130 (ქ. ბათუმი)

მისამართი: 6010 ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №16

საკონტაქტო ტელეფონები: 888(222) 44179, 43908 ვებგვერდი: www.batu.edu.ge. ელფოსტა: info@batu.edu.ge

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური ვადა	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტურები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
13004	სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების	მონტაჟის რეჟისორი	ქართ.	150	1000	10		12												2
13005	სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების	ტანსაცმლის დიზაინი	ქართ.	150	1000	10		12												2

გორის უნივერსიტეტი 133 (ქ. გორი)

მისამართი: გორი, ჭავჭავაძის ქ.№53

საკონტაქტო ტელეფონები: 877 151209; ელ.ფოსტა: universityg@gmail.com ვებ-გვერდი: www.gu.edu.ge

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური ვადა	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტურები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
13304	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის	სასტუმროების, რესტორნების ბიზნესისა და სპეციალური ღონისძიებების ადმინისტრირება; მშენებლობის ბიზნესის ადმინისტრირება; მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირება	ქართ.	180	2250	100		12												2

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი 136 (ქ. ქუთაისი)

მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, კ. გამსახურდიას I. №43ა;

საკონტაქტო ტელეფონები: 8(231)-70911, 899 506451; ვებგვერდი: www.kutmuskollege.edu.ge ელ.ფოსტა: admin@kutmuscollege.edu.ge

განსაკუთრებული მოთხოვნები: - *შემოქმედებითი ტურები აკადემიურ (საბაკალავრო) და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩატარდება განსხვავებული მოთხოვნებით.*

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური ვადა	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტურები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
13605	ხელოვნების	საკრავიერი შემსრულებლობა	ქართ.	180	1250	12											10	2		11
13606	ხელოვნების	ვოკალური ხელოვნება	ქართ.	180	1250	10											10	2		11
13607	ხელოვნების	საგუნდო-სადირიჟორო	ქართ.	180	1250	3											10	2		11

წნორის კოლეჯი 139 (ქ. წნორი)

მისამართი: სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქ. წნორი, უნივერსიტეტის ქ. №32

საკონტაქტო ტელეფონები: 891 197348 ვებგვერდი: www. Tsnori.edu.ge; ელ.ფოსტა: college@tsnori.edu.ge

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
13906	ბიზნესისა და მართვის	საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე	ქართ	150	1750	20		12												2
13908	ბიზნესისა და მართვის	სასტუმროსა და რესტორნის მენეჯმენტი	ქართ	150	1750	15		12												2
13909	ბიზნესისა და მართვის	ტურიზმისა და მოგზაურობის მენეჯმენტი	ქართ	155	1750	15		12												2
13915	ბიზნესისა და მართვის	მშენებლობის ბიზნესის ადმინისტრირება	ქართ	180	1750	10		12												2
13916	ბიზნესისა და მართვის	მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირება	ქართ	180	1750	10		12												2
13918	მათემატიკისა და სტატისტიკის	ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები	ქართ	140	1750	10		12												2

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი (ბნსუ) 140 (ქ. ბათუმი)

მისამართი: 6411, ქ. ბათუმი, მახინჯაური, თბილისის გზატკეცილი 26

საკონტაქტო ტელეფონები: (+995 222) 54292, (+995 222) 54293, 877 422424, 877 409000; ფაქსი: (+995 222)74840;
ელ.ფოსტა: info@bntu.edu.ge, ვებ-გვერდი: www.bntu.edu.ge

განსაკუთრებული მოთხოვნები: *- 1) ამიერკავკასიელები, რომლებსაც სურთ სწავლა გაიარონ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტზე, ვალდებულნი არიან გაიარონ საგანგებო შემოწმება საზღვაო ფლოტის გემების მკურნე შემსდგენლობაში ეარგიანაინთის დასაფუძნებელ (ბრსტე-სთან არსებულ მუზეუმთან საგანგებო ცენტრში, მის ქ. ბათუმს, ზურაბ გორგიაძის (ყოფილი ეფრას ქუჩა) №91). საგანგებო შემოწმების აუცილებელია გამოწვეული საზღვაო ფლოტის ეკიპაჟზე მუშაობის საკვლევითებით და განპირობებულია რიგიერე საერთაშორისო კონვენციებით, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით: საკრებულის შრომის, ვაჭრობისა და სიცოცხლისა ფაქტორების დაცვის მინისტრის ბრძანება 07.12.2006 წ. International Conventions on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, (Consolidated Text) Regulation I/9; page 57. section B-I/9-1; page 435-439; Table B-I/9-1, page 443-447*

2) ამიერკავკასიელები, რომელთაც სურთ სწავლა გაიარონ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტზე, ვალდებულნი არიან სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას აერიონ ბნსუ-ში მიღებული უნიფორმა (მის: მეზღვაურთა სამკერვალო, ქ. ბათუმი, ანმედ შელაშვილის (ყოფილი ლენინის) ქუჩა №3)

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
14004	საზღვაო საინჟინრო	საზღვაო ნაოსნობა	ქართ. ინგლ.	180	2500	90		12												2
14005	საზღვაო საინჟინრო	გემის ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია	ქართ. ინგლ.	180	2500	60		12												2
14006	საზღვაო საინჟინრო	გემის ელექტრომექანიკოსი	ქართ. ინგლ.	180	2500	25		12												2
14007	ლოგისტიკა	საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა	ქართ. ინგლ.	180	2250	60		12												2

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი 142 (ხულო)

მისამართი: ქ. ხულო, დავით აღმაშენებლის ქ. №9; შუახევი, ხიჭაური

საკონტაქტო ტელეფონები: 895 171465, 895 171452, 891 292959

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
14208	მედიცინის	ზოგადი პროფილის მედდა	ქართ	180	2250	58	10	2												1-2

"აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი" 144

მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №34

საკონტაქტო ტელეფონები: 899 907 991 ელ.ფოსტა:
info@ibeku-tbilisi.edu.ge veb-gverdi: www.ibeku-tbilisi.edu.ge

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
14403	მედიცინის	ფიზიოთერაპია	ქართ	180	3300	15		12												2

"ჯი.-ბი.-თი. საერთაშორისო სამედიცინო კოლეჯი" 146 (ქ. რუსთავი)

მისამართი: რუსთავი, საკაძის №3

საკონტაქტო ტელეფონები: 308661, 899 482031; ელ.ფოსტა: gbtoffice@yahoo.com ვებ გვერდი: www.gbt-edu.ge

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
14601		საექთნო საქმე	ქართ. ინგლ.	180	2000	111		12												2

გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი 147 (ქ. გორი)

მისამართი: გორი, სამეფო ქ. №17

საკონტაქტო ტელეფონები: 7-49-05, 7-35-11; ვებგვერდი: www. gorimuscollege.edu.ge; ელ.ფოსტა: gori.college@yahoo.com

განსაკუთრებული მოთხოვნები: შემოქმედებითი ტურები პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
14701		ფორტეპიანო და საორკესტრო (სიმებიანი) საკრავები	ქართ	180	1500	10											9	3		11-12
14702		ვოკალური ხელოვნება	ქართ	180	1500	10											9	3		11-12
14703		საგუნდო-სადირიჟორო	ქართ	180	1500	8											9	3		11-12

შ.პ.ს. "პროფიუნიტი" 148 (ქ. ჭიათურა)

მისამართი: ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ.№29

საკონტაქტო ტელეფონები: 5-19-60, 899 941485

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
14801	სამთო გეოლოგიური	სამთო ტექნოლოგიები	ქართ	150	1800	25		12												2
14802	სამთო გეოლოგიური	მინერალური გადამუშავება	ქართ	150	1800	25		12												2
14803	მეტალურგიის	მეტალურგია	ქართ	150	1800	25		12												2
14804	ენერგეტიკის	ელექტრომექანიკა	ქართ	150	1800	25		12												2

საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯი 150

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №138

საკონტაქტო ტელეფონები: 855 508866, 959412 ელ.ფოსტა: srk@posta.ge

განსაკუთრებული მოთხოვნები: რუსული ენის ცოდნა საშუალო სკოლის დონეზე

ფაკულტეტების დასახელება		პროფესიული პროგრამების დასახელება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	კონტინგენტი	ქართული ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	შემოქმედებითი ტესტები I	II	III	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
15001		სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინერია	ქართ	150	1000	140		12												2

შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს

აირჩიეთ, სად ისწავლით

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

სერგო ტეფნაძე
საქართველოს საავიაციო
უნივერსიტეტის რექტორი,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ავიაცია სახელმწიფოს პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს. ძლიერი ავიაცია ქვეყნის წინსვლის საწინდარია. ამ მხრივ საქართველო უდიდესი ტრადიციების მქონე ქვეყანაა. სწორედ აღნიშნული გარემოება გახდა საფუძველი იმისა, რომ 1992 წელს, სამთავრობო დადგენილების საფუძველზე, ჩამოყალიბდა ჩვენი ქვეყნისათვის მეტად საჭირო საავიაციო სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება – საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი.

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ საავიაციო უნივერსიტეტმა, დაარსებიდან მოკლე პერიოდში, ჩვენს ქვეყანას მრავალი მფრინავი და ავიასპეციალისტი მოუმზადა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ღირსეულ შევსებად მოევლინა საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო ავიაციას. უნივერსიტეტს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს. უნივერსიტეტში მომავალ პროფესიებს ეუფლებიან როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები. სწავლება მიმდინარეობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. წარმატებით ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ქვეყნის სასწავლო დაწესებულებებთან. აღსანიშნავია, რომ საავიაციო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი წარმატებით ართმევენ თავს თავიანთ სამსახურეობრივ მოვალეობებს და ბევრი მათგანი ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობს ავიაკომპანიებში, აეროპორტებსა და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში.

უნივერსიტეტში სწავლების ხანგრძლივობაა:

- ბაკალავრი – 4 წელი
- მაგისტრატურა – 2 წელი
- დოქტორანტურა – 3 წელი
- დიპლომირებული სპეციალისტი – 3 წელი

უნივერსიტეტის სტრუქტურაშია რამდენიმე ფაკულტეტი და სასწავლო-საფრენოსნო ცენტრი

საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტი

- საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (პილოტი);
- საჰაერო მოძრაობის მართვა.

საინჟინრო ფაკულტეტი

- საჰაერო ხომალდების წარმოება და ტექნიკური ექსპლუატაცია;
- აეროპორტების, აეროდრომებისა და გზების მშენებლობა და ექსპლუატაცია;
- საჰაერო ტრანსპორტის კომერციული ექსპლუატაცია;
- საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია;
- ავტომატიკისა და მართვის კომპიუტერული სისტემები;
- კომპიუტერული ტექნოლოგიები მენეჯმენტში;
- ფრენების უზრუნველყოფის რადიოლოკაციური და რადიონავიგაციური მიწისზედა საშუალებებისა და კომპლექსების ტექნიკური ექსპლუატაცია;
- საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება საწვავ-საპოხი მასალებით;
- საფრენოსნო ინფორმაციის დამუშავების, ასახვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები.

ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი

- მენეჯმენტი;
- საბუღალტრო აღრიცხვა.

სამართლის ფაკულტეტი

- სამართალმცოდნეობა.

კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ფაკულტეტი

- ახორციელებს მფრინავ შემადგენლობათა და ავიასპეციალისტთა მომზადება-გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას საერთაშორისო საავიაციო ორგანოს ICAO-ს ნორმების შესაბამისად.

მისამართი: 0103, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №16
ტელ: 77-65-72; 77-65-71; 77-31-38. E-MAIL: MAIL@SSU.EDU.GE WWW.SSU.EDU.GE

გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

სსიპ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის №83 დადგენილებით დაარსდა საშუალო პროფესიული სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების – ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის ხელოვნების კოლეჯის ბაზაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 სექტემბრის №798 ბრძანებით „ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისათვის გაიცა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №0912167 ლიცენზია“.

ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის ხელოვნების კოლეჯი (წარსულში სამუსიკო სასწავლებელი) 1963 წელს დაარსდა და წლების განმავლობაში იყო ქალაქის მუსიკალური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კერა. ამზადებდა სპეციალისტებს შიდა ქართლის რეგიონის სამუსიკო სკოლებისა და მუსიკალური კოლექტივებისათვის. გამორჩეული კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებდნენ სწავლას თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. 1970 წელს, სასწავლებლის დირექტორის ალექსანდრე კაჭარავასა და ახალგაზრდა პედაგოგის შალვა მოსიძის თაოსნობით, დაარსდა გოგონათა კამერული გუნდი, რომელიც მალე მოექცა მუსიკოსთა და მუსიკის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში – გახდა საერთაშორისო კონკურსებისა და ფესტივალების ლაურეატი და თაობათა ცვლის მიუხედავად, დღემდე აგრძელებს წარმატებულ მოღვაწეობას.

სწორედ საერთაშორისო აღიარების მქონე საგუნდო კოლექტივის არსებობა გახდა წინაპირობა მის ბაზაზე 1985

წელს – საგუნდო მუსიკის ზეიმის, 1986 წლიდან კი – საერთაშორისო საგუნდო ფესტივალების ჩატარებისა.

სამუსიკო სასწავლებელში არსებობდა შემოქმედებითად ძლიერი საგუნდო და ვოკალური განყოფილებები, რამაც შესაძლებელი გახადა 1979 წელს სასწავლებელთან საოპერო სტუდიის შექმნა, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

დღეს განახლებული კოლეჯი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით, ელის აბიტურიენტებს. კოლეჯს აქვს ორსართულიანი, კეთილმოწყობილი შენობა, დიდი და მცირე საკონცერტო დარბაზები, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, რომელიც სათანადო კომპიუტერული ტექნიკითაა აღჭურვილი, ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები, მუსიკალურ სამყაროში ცნობილი ხელოვანები – პროფესორები: შალვა მოსიძე, რუსუდან წურწუმია, ნინო ქათამაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ გოგოლაძე და სხვანი.

გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი 2010-2011 წლისათვის აცხადებს მიღებას პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- **საშემსრულებლო**
  ფორტეპიანო
  საორკესტრო საკრავები (ვიოლინო)
- **ვოკალური ხელოვნება**
- **საგუნდო-სადირიჟორო**
- **ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა**
  აზერბაიჯანულენოვანთათვის;
  სომხურენოვანთათვის.

აბიტურიენტები, რომლებსაც სურვილი აქვთ, სწავლა გაგრძელონ გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში, გაივლიან შემოქმედებით ტურს და აბარებენ გამოცდას ზოგად უნარებში.

ქ. გორი, სამეფო ქ.№17.
ტელ: 8 (270) 7-35-11. ფაქსი: 8 (270) 7-32-10
ელ.ფოსტა gori.college@yahoo.com
www.gorimuscollege.edu.ge

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტატელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K